

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი
2022-2025 წლებისათვის

რუსთავი

2021

თავი I

ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

რუსთავის ტერიტორიის ათვისება შუა ბრინჯაოს ხანაში, ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის I ნახევარში დაიწყო. ამ პერიოდში რუსთავში მდინარე მტკვრის მარჯვენა მდინარისპირა პლატოზე, ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების კუთვნილი პირველი სამაროვანი გაჩნდა. ამ სამაროვნიდან მხოლოდ ერთი ნივთი არსებობს – წითლად გამომწვარი და შავად მოხატული ქოთანის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეებით თარიღდება. მარცხენა ნაპირზე ამ პერიოდის კულტურული ფენები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა.

გვიან ბრინჯაოს ხანაში – ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის II ნახევრიდან, როცა სამხრეთ კავკასიაში რკინის მოპოვება – დამუშავება და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის თანამდევი პროცესები დაიწყო, ეს ტერიტორიები უფრო ინტენსიურად ათვისდნენ. ახალი დასახლებები გაჩნდა მტკვრის ორივე ნაპირზე, სადაც წყლის სიახლოვე, ნოყიერი ნიადაგი, თავდაცვისათვის ბუნებრივად შემოზღუდული გარემო და რბილი კლიმატი ხელსაყრელ საარსებო პირობებს ქმნიდა. დასახლარები აღმოჩენილია “რუსთავის ციხის” გორაზე, მის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ჩათმის მთაზე და სხვა. ამ პერიოდის ცალკეული სამარხებისა თუ სამაროვანთა გეოგრაფიაც საკმაოდ ფართოა. ამ პერიოდში მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასა და სარწყავ მიწათმოქმედებას, განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: მეთუნეობა, ლითონის, ტყავის, ხის დამუშავება და სხვა.

XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი მროველის მიხედვით, რუსთავი ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ცოლმა ააშენა, შემდგომ კი შვილს – კუხოსს გადასცა, რომელმაც, ლეონტის აზრით, სათავე დაუდო ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ქართული ტომს – კუხებს. მისი მეორე ცნობის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისას, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, დიდ მცხეთასთან, ურბნისთან, უფლისციხესთან, სარკინესთან, კასპთან და სხვა ქალაქებთან ერთად უკვე რუსთავიც არსებულა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ იაღლუჯის მთასა და ცურტაველის ქუჩაზე აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვით V-II საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული, მაგრამ შესაძლოა ანტიკურ ეპოქაში რუსთავი, მცხეთის მსგავსად, სწორედ ცალკეულ, ურთიერთდაცვილებულ უბნებად იყო გაშენებული.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსთავის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსთავში ერეკლე პირველმა საზამთრო რეზიდენცია მოიწყო. ვახტანგ VI-ს, რომელმაც გამაჰმადიანებულ ერეკლეს, იგივე ნაზარ-ალი ხანს ეს სასახლე დაუნგრია, კარგად ესმოდა რუსთავისა და ყარაიას ველის სამეურნეო – ეკონომიკური მნიშვნელობა. ამიტომ მან აღადგინა რუსთავის არხი, მაგრამ ქალაქის აღდგენა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მოსახლეობა რუსთავში მაინც დარჩა.



რუსთავის მშენებლობას საფუძველი საბჭოთა ეპოქაში, 1944 წელს, ამიერკავკასიაში უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის პარალელურად ჩაეყარა. ახალმა სამრეწველო დაბამ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი 1948 წელს მიიღო. ამავე წელს სახელები მიენიჭა ქალაქის პირველ ქუჩებს, ეს იყო: “ახალგაზრდა კომუნარების”, “რუსთავის მშენებელთა” და “ზოსტან-ქალაქის” ქუჩები.

თანდათან განვითარდა საქალაქო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. კიდევ ერთხელ განახლდა რუსთავის არხი. მოსახლეობა ადგილობრივი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოყვანილი კადრების ხარჯზე იზრდებოდა. 1944 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, 1950 წელს გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი, 1954-ში - თუჯი და კოქსი, 1956 წელს კი ამიაკი.

1950 წელს გაიხსნა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1967 წელს – პირველი თეატრი. რუსთავი მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. 1988 წელს ქალაქში 35 მსხვილი საწარმო ფუნქციონირებდა. მათ შორის: მეტალურგიული კომბინატი, “აზოტის”, “ქიმბოჭკოს”, “ცემენტის”, “ლითონკონსტრუქციის” და “ამწე მშენებელი” ქარხნები.

ფართობი და მდებარეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრია, ქვეყნის მასშტაბით 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთი; მისი ფართობი 60 კმ² არის, რაც რეგიონის საერთო ტერიტორიის 1%-ია, ხოლო ქვეყნის ფართობის 0.1% უჭირავს.

რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონისა და თბილისის აგლომერაციაში მყოფი ქალაქებიდან უდიდესია და რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრს წარმოადგენს. ის მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5⁰ განედსა და 41,5⁰ გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხერთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავის“ დასახლება, ხოლო მარჯვენაზე – ე.წ. „ახალი რუსთავი“. სანაპიროები ერთმანეთს უკავშირდება 1 კილომეტრი სიგრძის ხიდით. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები.




ქალაქი ასევე, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ის დედაქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 27 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან – 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან – 30 კილომეტრით. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის უმოკლესი მანძილი 7,66 კილომეტრია. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი –TRACECA.

მმართველობის ორგანოები

რუსთავი წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქს და მინიჭებული აქვს სახელწოდება – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. რუსთავის ხელისუფლებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება – მერია საყოველთაო, ჯენჭისყრის შედეგად არჩეული მერის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო ოცდახუთკაციანი შემადგენლობით. მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს მერი, ხოლო საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრთა ხმათა ურავლესობით არჩეული თავმჯდომარე. ქალაქი დაყოფილია 7 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად. თითოეული ერთეულიდან არჩეულია საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლებაში, ასევე დანიშნულია მერის წარმომადგენელი, რომელსაც აკისრია ლოკალურ დონეზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მედიატორის ფუნქცია.

მოსახლეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 129.4 ათას მოსახლეს ითვლის, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 30%-ია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის - 3%. ქალაქში მაცხოვრებელთაგან 67.3 ათასი ქალია, ხოლო 62.1 ათასი კაცი; 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები - 9.1 ათასია; სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა - 24.6 ათასია და ასაკით პენსიონერთა რაოდენობა - 28.5 ათ. ადამიანი; მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით ქალაქში 1 კვ.კმ-ზე 2.2 ათასი მოსახლე მოდის; ქალაქის მასშტაბით სოციალურად დაუცველთა (0-150 000 ქულამდე) რაოდენობა 19.8 ათასამდე ადამიანს ითვლის.




სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ქალაქის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი და უახლოესი რკინიგზის სადგურია „რუსთავი“. რუსთავის ტერიტორიას კვეთს: თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი და თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალი; რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი - ს-4 „თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“. შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებია: S-32 “თბილისი-გაჩიანი-რუსთავი” - სიგრძე 28 კმ; S-68 “რუსთავი (ხიდიდან) - გარდაბანი - ვახტანგისი (აზერბაიჯანის საზღვარი)” - სიგრძე 164,9 კმ; S-69 “გამარჯვება - რუსთავი” - სიგრძე 7,4 კმ.

ბიუჯეტი

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 75,6 მლნ ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების 86% (65,3 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებია; მათ შორის, აღსანიშნავია შემოსავლები გადასახადებიდან, რომელზეც საკუთარი შემოსავლების 87% (41,9 მლნ ლარი) უჭირავს, ხოლო დანარჩენი 13% სხვა შემოსავლებზე მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილებებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2010-2022 წლებში ასიგნებების დინამიკა



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2022 წლისთვის, ისევე როგორც 2020-2021 წლებში შემუშავდა 2022–2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:

- განათლება.
- ინფრასტრუქტურის განვითარება.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

თავი II

ნაწილი I

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

2021-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი

საპროგნოზო გათვლებით 2022-2025 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2022 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 73 721,7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 67 006,6 ათასი ლარი იქნება, მათ შორის: გადასახადების წილი 49 481,7 ათას ლარს გაუტოლდება (ქონების გადასახადი 12 000,0 ათასი ლარი იქნება, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადიდან 37 481,7 ათასი ლარი), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 12 237,3 ათასი ლარი იქნება, ხოლო სხვა შემოსავლების წილი 5 287,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 6 715,1 ათასი ლარია ნავარაუდევო.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები (73 721,7 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის ანგარიშზე სავარაუდო (ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული) სახსრები (ნაშთი - 7 478,3 ათასი ლარი).

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2020-2025 წლებში

ათასი ლარი

N	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
1	განათლება	12 434,0	13 719,4	15 407,9	15 820,2	16 599,2	17 228,0
2	ინფრასტრუქტურის განვითარება	20 325,4	29 404,1	28 807,8	25 816,6	24 253,1	23 917,8
3	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5 267,3	8 922,5	8 111,8	8 211,2	8 400,4	8 568,7
4	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7 499,3	9 337,9	10 846,0	10 723,5	10 485,5	10 359,5
5	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4 468,6	4 884,9	5 314,3	5 329,4	5 598,0	5 848,8
6	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7 257,0	9 293,8	12 712,2	18 002,3	19 035,5	20 046,5

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2020-2025 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
შემოსავლები	55 072,9	57 844,2	67 006,6	77 802,5	80 363,0	83 674,2
გადასახადები	34 936,4	41 900,9	49 481,7	54 042,7	58 065,0	62 298,2

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
გრანტები	16 082,8	10 999,9	12 237,3	18 796,4	16 250,0	16 350,0
სხვა შემოსავლები	4 053,7	4 943,3	5 287,6	4 963,4	6 048,0	5 026,0
ხარჯები	36 811,3	51 531,1	66 603,0	73 273,7	74 574,2	76 126,6
შრომის ანაზღაურება	15 538,7	17 245,0	22 212,6	22 942,4	24 262,8	25 257,8
საქონელი და მომსახურება	10 759,3	15 555,0	20 786,8	23 679,0	25 132,4	26 781,7
პროცენტი	105,0	1 466,6	2 358,0	2 240,0	1 905,0	1 565,0
სუბსიდიები	2 701,1	4 814,0	6 635,0	4 930,0	4 740,0	4 550,0
გრანტები	8,3	5,2	6,0	4,5	4,5	4,5
სოციალური უზრუნველყოფა	3 485,6	4 001,2	4 230,3	4 397,3	4 655,0	4 898,1
სხვა ხარჯები	4 213,2	8 444,2	10 374,3	15 080,5	13 874,5	13 069,5
საოპერაციო სალდო	18 261,6	6 313,1	403,6	4 528,8	5 788,8	7 547,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	18 051,5	13 925	7 761,9	7 156,7	6 374,1	6 411,6
ზრდა	19 963,7	24 027,4	14 477,0	7 648,5	6 826,5	6 881,7
კლება	1 912,2	10 102,1	6 715,1	491,8	452,4	470,1
მთლიანი სალდო	210,2	-7 612,3	-7 358,3	-2 627,9	-585,3	1 136,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-266,4	-7 616,5	-7 478,3	-5 803,9	-3 761,3	-2 040,0
ზრდა	616,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	616,3	0,0	0,0			
კლება	882,7	7 616,5	7 478,3	5 803,9	3 761,3	2 040,0
ვალუტა და დეპოზიტები	882,7	7 616,5	7 478,3	5 803,9	3 761,3	2 040,0
ვალდებულებების ცვლილება	-476,5	-4,2	-120,0	-3 176,0	-3 176,0	-3 176,0
კლება	476,5	4,2	120,0	3 176,0	3 176,0	3 176,0
საშინაო	476,5	4,2	120,0	3 176,0	3 176,0	3 176,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ნაწილი II

გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2020 წელს ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებული იყო 55 072,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 106 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 34 936,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 103 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 7 311,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 264,8 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადზე არ იყო განსაზღვრული გეგმა, წლის მანძილზე მოხდა დაზუსტება და შეადგინა (-1,9) ათ. ლარი.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 269,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (267,4 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია 13,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12,9 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 3 332,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 354,9 ათ. ლარი) 99 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 24 012,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 007,3 ათ. ლარი) 104 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 16 082,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 111 პროცენტია, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 590,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (581,6 ათ. ლარი) 102 პროცენტია.
- სპეციალური ტრანსფერის სახით მობილიზებულია 4 600,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 100,0 ათ. ლარი) 148 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 10 892,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 855,1 ათ. ლარი) 100 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 053,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 683,5 ათ. ლარი) 110 პროცენტია (იხ. ცხრილი)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	3 683,5	4 053,7	110
შემოსავლები საკუთრებიდან	685,5	744,7	109
პროცენტები	476,7	499,9	105
დივიდენდები	12,0	12,2	102
რენტა	196,8	232,5	118
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100,0	130,4	130

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	96,8	102,1	105
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	735,0	877,8	119
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	717,0	813,1	113
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	65,2	59
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,01	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0	1,2	120
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	6,0	6,0	100
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	600,0	740,7	123
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,0	64,7	360
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18,0	64,7	360
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 993,0	2 066,6	104
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	270,0	364,7	135

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 1 912,2 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (1 638,9 ათ. ლარი) 177 პროცენტია, სადაც 52% მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე - 7 150,1 ათ. ლარი;
- თავდაცვა – 269,5 ათ. ლარი,
- ეკონომიკური საქმიანობა – 11 297,7 ათ. ლარი;
- გარემოს დაცვა – 5 505,1 ათ. ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 8 765,6 ათ. ლარი;
- განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 19 957,6 ათ. ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3 829,4 ათ. ლარი;

- 2020 წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გაწეულმა წლიურმა ხარჯმა შეადგინა 10 207,8 ათ. ლარი.
- განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (455,5 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220-მდე ბენეფიციარი.
- დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 7 523,6 ათ. ლარი.
- ჩატარდა გზების სარემონტო სამუშაოები, ტროტუარების რეაბილიტაციის ჩათვლით. შესრულებულ იქნა 8 803,3 ათ. ლარის სამუშაო.
- განხორციელდა შენობების სახურავების სამუშაოები - 775,6 ათ. ლარი.

- დაფინანსდა რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებით და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯები; მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებზეც მთლიანობაში დაიხარჯა 4 468,6 ათ. ლარი.
- ქალაქის დასუფთავებაზე, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან, საერთო ჯამში ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4 001,4 ათ. ლარი.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების მაჩვენებლები

2021 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 46 292,9 ათ. ლარი, რაც 10 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (57 844,2 ათ. ლარი) 80 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 33 272,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41 900,9 ათ. ლარი) 79 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 8 583,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 000,0 ათ. ლარი) 107 პროცენტს შეადგენს.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით შემოსულია 15,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 20,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10,0 ათ. ლარი) 202 პროცენტს შეადგენს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია 15,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 424,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400,0 ათ. ლარი) 18 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზირებულია 24 214,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31 400,9 ათ. ლარი) 77 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 7 491,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 999,9 ათ. ლარი) 68,0 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 30,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65,0 ათ. ლარი) 47 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 415,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500,0 ათ. ლარი) 83 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 7 045,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 434,9 ათ. ლარი) 68 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 5 528,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 943,3 ათ. ლარი) 112 პროცენტია (იხ. ცხრილი).

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	4 943,3	5 528,9	111,8
შემოსავლები საკუთრებიდან	612,0	956,9	156,4
პროცენტები	400,0	754,3	188,6
დივიდენდები	12,0	0,0	0,0
რენტა	200,0	202,6	101,3
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	109,0	157,0	144,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	91,0	45,5	50,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 751,3	1 818,9	103,9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	1 733,3	1 799,2	103,8
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	211,1	191,9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,8	0,8	100,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	722,5	723,0	100,1
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	900,0	864,3	96,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,0	19,7	109,4
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	18,0	19,7	109,4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2 100,0	2 084,9	99,3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	480,0	668,2	139,2

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 11 470,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 102,1 ათ. ლარი) 114 პროცენტია, მათ შორის:

- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 1 869,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 700,0 ათ. ლარი) 110 პროცენტია.
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 9 600,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 402,1 ათ. ლარი) 114 პროცენტია.

2021 წლის 10 თვისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე – 5 151,4 ათ. ლარი.
 - თავდაცვა და უსაფრთხოება – 214,0 ათ. ლარი.
 - ეკონომიკური საქმიანობა – 6 187,2 ათ. ლარი.
 - გარემოს დაცვა – 7 495,5 ათ. ლარი.
 - საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 10 896,7 ათ. ლარი.
 - განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 15 673,9 ათ. ლარი.
 - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3 954,4 ათ. ლარი.
-
- 2021 წლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6 481,0 ათ. ლარი.
 - განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (391,6 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220-მდე ბენეფიციარი.
 - დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 6 881,2 ათ. ლარი.
 - 2021 წლის 10 თვის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწერსიგებლად რეაბილიტირებულია 3 522,6 ათ. ლარის ღირებულების გზა.
 - მიმდინარეობს რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა რისთვისაც 10 თვის ხარჯი შეადგენს 3 309,0 ათ. ლარს.
 - ქალაქის დასუფთავებისათვის, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან, ქალაქის ბიუჯეტიდან მოხმარებულია 5 058,0 ათ. ლარი.

თავი III

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

განათლება

თვითმმართველობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა. განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი დაწესებულებებისა და დელეგირებული უფლებამოსილების ხელშეკრულების ფარგლებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. თვითმმართველობა პრიორიტეტების ფარგლებში ახდენს მოსწავლეთა და სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური კადრების გენერირებისა და ქალაქისა თუ ქვეყნის განვითარებაში.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	15 407,9	15 820,2	16 599,2	17 228,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13 375,0	13 421,0	14 318,0	15 166,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	737,9	1 000,0	800,0	500,0
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	720,0	649,2	656,2	662,0
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	0,0	100,0	100,0	100,0
04 06	ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა	500,0	550,0	600,0	650,0

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა 04 01
პროგრამის გამახორციელებელი	ა(ა)იპ "ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება"
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 22 სააღზრდელი დაწესებულება (ბაგა-ბაღი) გეგმიური 6925 აღსაზრდელით, ჩარიცხულია 6500 აღსაზრდელი, რაც აკმაყოფილებს ქალაქში არებულ ბაგა-ბაღებში ჩასარიცხ მსურველთა 94 %-ს (ვაკანსია 400 ადგილი), ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ელექტრონული წესით, დაშვებულია გამონაკლისის სახით განცხადების საფუძველზე ჩარიცხვა (მრავალშვილიანი, შშმ-პირები, დედამიწვილები და სხვა). სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მომსახურებას უწევს: 22 გამგე, 22 მენეჯერი, 22 ფსიქოლოგი 4 ლოგოპედი, 22 სპეც პედაგოგი, 33 მუსიკის ხელმძღვანელი, 203 აღზრდელი, 276 აღზრდელის თანაშემწე და 377 სხვა დამხმარე ტექ პერსონალი. სულ დასაქმებული 981 თანამშრომელი.

	<p>პროგრამის მიზანია ზაგა-ბაღებში სრულფასოვანი საღმრთელი გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები</p> <p>ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა განვითარების სტანდარტის დანერგვა ასოცირდება ხარისხიან სკოლამდელ განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს აღზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს, ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით შესაბამისი კურიკულუმების შემუშავებას, ყველა ტიპის ბავშვთა ჩართულობას, უსაფრთხო სოციალურ და ემოციურ გარემოს, ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით. ამ ამოცანის გადაწყვეტა მიმდინარეობს მიზანმიმართულად, ეტაპობრივად . დაიწყო და ეტაპობრივად გაგრძელდება ბ/ბაღის გაშენების ტრენინგი მეთოდ სამსახურის მიერ , რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან სასწავლო-საღმრთელი პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. იგეგმება ჯგუფებში ფიზიკური გარემოს მოწყობა ახალი სტანდარტების მიხედვით. მიმდინარეობს აღზრდელ პედაგოგთა გადამზადება (" ჰარტის " პროგრამა , " კვიტას გეორგიკას " პროგრამა)ამ ეტაპზე სხვადასხვა მიმართულებით დატრენინგებულია 94 პედაგოგი. ხდება გამოცდილებათა და ტრენინგებზე მიღებულ ცოდნათა განზოგადება, გარე მონიტორინგი მიმდინარეობს "ხარისხის სტანდარტის " შესაბამისად, რომელიც მიმართულია სკოლამდელი დაწესებულების ავტორიზაციისაკენ.</p>		
	<p>ზაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p>		
	<p>ზაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან იგეგმება აღსაზრდელთა კვების რაციონის გაზრდა დამტკიცებულ საშუალო ნორმამდე -1292.84 კკალ, რაც მოითხოვს 1 ბ/დღის ღირებულების გაზრდას 3.1 ლარიდან 4.65 ლარამდე, საჭირო თანხის ხარჯვა მოხდება ბიუჯეტით ამ მუხლით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში .</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება	გენდერული	დიახ

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 04 02		
პროგრამის გამახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხოს, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლამდელ დაწესებულებებს. ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებები გახდება ბევრად უსაფრთხო, კომფორტული და მიმზიდველი მოსწავლეებისათვის და მომსახურე პერსონალისთვის</p> <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1). ქალაქ რუსთავის N34 საბავშვო ბაღის სარდაფში სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები; 2). ზაგა-ბაღებში ელ. გაყვანილობების რეაბილიტაცია; 3). ქ. რუსთავის #1 საბავშვო ბაღის II ფლიგელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა (მრავალწლიანი); 4). ქალაქ რუსთავში, სარაჯიშვილის ქუჩის #10-ის მისამართზე, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები (მრავალწლიანი); 		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა.	მიღწეული შედეგი	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დაიხ
---	---	-----------	------

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა 04 03		
პროგრამის გამახორციელებელი	ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადრეულ ასაკში სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, მათი რეაბილიტაცია და შემდგომში საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; შრომითი თერაპიების საშუალებით ბენეფიციართა დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთა რეაბილიტაცია და ხელშეწყობილია მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დაიხ

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება 04 05		
პროგრამის გამახორციელებელი	ჯან,რთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული სტუდენტების მატერიალური დახმარებით წახალისება ან/და მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის საფასურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა.</p> <p>ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული სტუდენტების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესაბამისად, კერძოდ 81-დან 90 ქულამდე შეფასების მქონეს არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, 90-დან 95-მდე ქულის მქონე სტუდენტებს არაუმეტეს 1000 ლარით და 95-დან 100 ქულის ჩათვლით 1200 ლარით, სტუდენტებს უფინანსდებათ ერთი სასწავლო წლის გადასახადი არაუმეტეს ლიმიტით გასაზღვრული ოდენობისა. გამოთვლის წარმოადგენენ დეენილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა. 2021 წელს სულ დაფინანსდა 577 სტუდენტი, აქედან 130 მამრობითი და 447 მდედრობითი სქესის. დაფინანსებული სტუდენტებიდან 261-ს აქვს 81-დან 90-მდე აკადემიური შეფასების საშუალო ქულა, ხოლო 316-ს აქვს 90-დან 100 ქულამდე, აქედან მდედრობითი სქესის სტუდენტებს აქვთ უფრო მაღალი საშუალო აკადემიური ქულა, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტებს. აღნიშნულ პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილება, დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი: ქალაქ რუსთავში მუნიციპალიტეტში განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებული და მცხოვრები მაგისტრანტების (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) დაფინანსება, მაგისტრის აკადემიური მოსწრების შესაბამისად: ა) 85 ქულიდან 100 ქულამდე შეფასების მქონე მაგისტრანტი დაფინანსდეს არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერზტი სასწავლო წლის განმავლობაში);</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისება და სწავლის გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება	გენდერული	დაიხ

ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ქალაქ რუსთავის გამოწვევად რჩება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, აქედან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეკრეაციული სივრცეების შექმნა-რეაბილიტაციას; ასევე ფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები და ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები; მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მართვის გეგმა, განახლდა მუნიციპალური ავტობუსები, რამაც შეამცირა ქალაქის მავნე აირებით დაბინძურება.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	28 807,8	25 816,6	24 253,1	23 917,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 174,5	2 500,0	2 870,0	2 900,0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	3 090,1	1 500,0	1 800,0	1 600,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	520,0	410,0	510,0	610,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	564,4	590,0	560,0	690,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	297,7	447,6	459,6	874,8
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	297,7	447,6	459,6	874,8
02 03	გარე განათება	1 873,0	2 063,0	2 036,0	2 008,0
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	1 873,0	2 063,0	2 036,0	2 008,0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	7 421,3	11 650,0	10 150,0	9 600,0
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	1 901,3	4 550,0	3 550,0	3 000,0
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	700,0	600,0	600,0	600,0
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	1 000,0	1 500,0	1 500,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	4 820,0	5 500,0	4 500,0	4 500,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2 157,7	2 582,0	2 789,0	2 898,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6 606,2	2 142,0	1 685,0	1 551,0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	6 506,2	1 992,0	1 515,0	1 351,0
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	100,0	150,0	170,0	200,0
02 07	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	4 625,0	2 900,0	2 700,0	2 500,0
02 08	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	500,0	300,0	300,0	300,0
02 09	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	370,0	500,0	500,0	500,0
02 10	რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა	782,4	732,0	763,5	786,0

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 02 01		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური აიპ "რუსთავსერვის ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ნიშნებისა და გადასასვლელების, ზორდიურების მოვლა-პატრონობა, გარდა ამისა გაკეთდება საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა ლოკაციებზეც ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება საპატრულო პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად. იხაზება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო მოძრაობის ორგანიზება სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, სკვერებთან და პარკებთან და სპორტულ ობიექტებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებების შენობებთან. ასევე დაიხაზება ქალაქში არსებული ცენტრალური ქუჩები, აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 18 თანამშრომელი.</p> <p>ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება კომფორტული და თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნის მიზნით</p> <p>აღნიშნული თანხით განხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ქალაქ რუსთავში ფიროსმანის ქუჩის N31; N33; 35; 37; 37ა; შიდა ეზოების ტერიტორიის კეთილმოწყობა; 2) გაგარინის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობა (ფიროსმანის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩის კვეთამდე); 3) ქალაქ რუსთავში, ოდიშარისა და 1 მაისის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა; 4) ქ. რუსთავში 9 მმ ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შვეჩენკოს ქუჩების გზის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 5) ჰამლეტ გონაშვილის, გოგი დოლიძის და ჩოხელის ქუჩის მიმდებარედ. გზის მოწყობა; 6) ნეკრასოვისა და სამშვილდის ქ. ასფალტო-ბეტონის მოწყობა; 7) სამგორის ქ. გზის საფარის მოწყობა; <p>გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის მასშტაბით, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება გზების ორმული დამუშავება და ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები.</p>		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>1. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით, დამონტაჟდება სიჩქარის მაკონტროლებელი კამერები, რაც ხელს შეიწყობს ქალაქში უსაფრთხო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას</p> <p>2. მოწესრიგებული და ადაპტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის</p>	მიღწეული შუალედური შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება 02 01 01		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გზების ადაპტირება კომფორტული და თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნის მიზნით		
	აღნიშნული თანხით განხორციელდება: 1) ქალაქ რუსთავში ფიროსმანის ქუჩის N31; N33; 35; 37; 37ა; შიდა ეზოების ტერიტორიის კეთილმოწყობა; 2) გაგარინის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობა (ფიროსმანის ქუჩიდან მშენებელთა ქუჩის კვეთამდე); 3) ქალაქ რუსთავში, ოდიშარისა და 1 მაისის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა; 4) ქ. რუსთავში 9 მმ ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შვეჩენკოს ქუჩების გზის, ტროტუარების და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 5) ჰამლეტ გონაშვილის, გოგი დოლიძის და ჩოხელის ქუჩის მიმდებარედ. გზის მოწყობა; 6) ნეკრასოვისა და სამშვილდის ქ. ასფალტო-ბეტონის მოწყობა; 7) სამგორის ქ. გზის საფარის მოწყობა; 8) და სხვა...		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებული და ადაპტირებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის	მიღწეული შუალედური შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება 02 01 02		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გზების მიმდინარე შეკეთება საექსპლუატაციო ვადის გახანგრძლივებისა და უსაფრთხო გადაადგილებისთვის		
	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის მასშტაბით, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება გზების ორმული დამუშავება და ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელდება სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა	მიღწეული შუალედური შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 02 01 03		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური აიპ "რუსთავსერვის ცენტრი"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ რუსთავში უსაფრთხო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება სიჩქარის მაკონტოლებელი კამერების შექმნა		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგებისა და მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის არსებული გადასასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, შეკეთება, ახალი ნიშნების დამატება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ნიშნებისა და გადასასვლელების, ბორდიურების მოვლა-პატრონობა, გარდა ამისა გაკეთდება საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება საპატრულო პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად. იხაზება ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო მოძრაობის ორგანიზება სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, სკვერებთან და პარკებთან და სპორტულ ობიექტებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებების შენობებთან. ასევე დაიხაზება ქალაქში არსებული ცენტრალური ქუჩები, აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 18 თანამშრომელი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამის განხორციელებით, დამონტაჟდება სიჩქარის მაკონტოლებელი კამერები, რაც ხელს შეიწყობს ქალაქში უსაფრთხო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას	მიღწეული შუალედური შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა პატრონობა 02 02 01		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ობიექტებისთვის ჩატარებული სამუშაოებით კომფორტული და უსაფრთხო გარემო შეიქმნას მაცხოვრებლებისთვის ქ. რუსთავში, მცხეთის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა		
	ქვეპროგრამა მოიცავს უამინდობის პერიოდში ქალაქში არსებული სანიაღვრე სისტემის უსაფრთხო მუშაობისთვის გაწმენდით ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, რომელიც გულისხმობს უამინდობის პერიოდში სანიაღვრე სისტემის გაწმენდას, ასევე პერიოდულად ხდება ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. ხდება სანიაღვრე ჭების დაზიანებული სახურავების შეცვლა. . აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 11 თანამშრომელი.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობისთვის შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები უზრუნველყოფილია 63 კმ სიგრძის სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება	მიღწეული შუალედური შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	გარე განათების ქსელების მოვლა-პატრონობა 02 03 01		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი"		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების შეუფერხებელი მუშაობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი, განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით, სადაც დამონტაჟდება ახალი განათების ბოძები და სადაც არ არის დამონტაჟდება ეკონომიური ნათურები. გარე განათების ქსელი სრულად იქნება მოწყობილი პარკებთან და სკვერებთან, საბავშვო ბაღებთან და სკოლებთან, სპორტულ და სახელოვნებო ობიექტებთან, რათა ღამის საათებში უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. პროგრამას ემსახურება 15 ადამიანი.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მოწყობილია გარე განათების მდგრადი ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის	მიღწეული შედეგი	

პროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია 02 04		
ქვეპროგრამი გამახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. ქალაქ რუსთავში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (5 ერთეული) ფასადების რეაბილიტაციის (გამაგრება-გადლიერება) სამუშაოები აღნიშნული თანხით განხორციელდება: 1) თბილისის N26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება/რეაბილიტაცია; 2) რჩულიშვილის N2 ფასადის რეაბილიტაცია (გამაგრება-გადლიერება); 3) ქალაქ რუსთავში ნესტორ გიორგაძის N2-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება გადლიერება; 4) ქალაქ რუსთავში ჯავახიშვილი ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება გადლიერება; 5) ჩაპაევის N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერება და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები; 6) ქსელზე მიერთება 7) და სხვა...</p> <p>2. პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა. სტიქიის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული შენობების სახურავების გადახურვა. ლოკაციების შერჩევა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე. ქალაქ რუსთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. სამუშაოები განხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე</p> <p>3. პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა. სტიქიის შედეგად დაზიანებული და ამორტიზირებული შენობების სახურავების გადახურვა. ლოკაციების შერჩევა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამის მიზანია შეიქმნას სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქალაქ რუსთავში 5 მისამართზე განხორციელდება დაზიანებულფასადიან შენობების რეაბილიტაცია (გამაგრება-გადლიერება), პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული კედლების აღდგენა, შელესვა და შეღებვა. პროგრამის განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით, გაზრდილი ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.	მიღწეული შუალედური შედეგი	

	2. დაზიანებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის მინიმუმადე დაყვანა. მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდა. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაიზრდება მათი ექსპლუატაციის ვადა. პროგრამის განხორციელების შემდეგ რეაბილიტირებული სახურავი შეამცირებს შენობის დაზიანების ხარისხს ცუდი ამინდის პირობებში, მოწესრიგებული გადახურვით ისარგებლებს კორპუსის ყველა მკვიდრი.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	დიახ

ქვეპროგრამი დასახელება (პროგრამული კოდი)	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია 02 04 01		
ქვეპროგრამი განმახორციელებელი	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ რუსთავში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (5 ერთეული) ფასადების რეაბილიტაციის (გამაგრება-გადლიერება) სამუშაოები</p> <p>აღნიშნული თანხით განხორციელდება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1). თბილისის N26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება/რეაბილიტაცია; 2). რჩეულიშვილის N2 ფასადის რეაბილიტაცია (გამაგრება-გადლიერება); 3). ქალაქ რუსთავში ნესტორ გიორგაძის N2-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება გაძლიერება; 4). ქალაქ რუსთავში ჯავახიშვილი ქუჩა N1-ში საცხოვრებელი სახლის გამაგრება გაძლიერება; 5). ჩაპაევის N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გადლიერება და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები; 6) ქსელზე მიერთება 7) და სხვა... 		
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	531,8	546,0	560,0	572,0
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	400,0	410,0	420,0	430,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	34,3	38,0	38,0	38,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,0	87,7	93,0	98,5
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	50,0	52,0	55,0	57,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	85,0	85,0	90,0	95,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6,0	6,0	6,0	6,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	65,0	70,0	75,0	80,0
06 02 15	ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	20,0	20,0	20,0	20,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამა	10,0	20,0	20,0	20,0

პროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ჯანმრთელობის დაცვა 06 01		
პროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
პროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება, აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება და გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 06 01 01		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ააიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ააიპ ქ.რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში დასაქმებულია 48 თანამშრომელი. ცენტრი სტრუქტურა მოიცავს 2 დეპარტამენტს: მონიტორინგის და ადმინისტრაციის დეპარტამენტი და ეპიდემიოლოგიის დეპარტამენტი. სამსახური ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: პროგრამის მიზანია განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, უსაფრთხო გარემო, ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირება, ქალაქის ტერიტორიაზე პირველადი პროფილაქტიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება 06 01 02		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეების ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ის მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა (წელიწადში არაუმეტეს-2500 ლარი) , კარდიოქირურგიული (წელიწადში არაუმეტეს 2000 ლარი) და გეგმიური ქირურგიული (წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარი) სამედიცინო მომსახურება, კომპიუტერული გამოკვლევები 0-70 000 ლარის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (წელიწადში არაუმეტეს 500 ლარი). სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება 06 01 03		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (0-70 000 ქულის მქონე) მოქალაქეების, შშმ პირების, ომის ვეტერანების, მარჩენალდაკარგული (18 წლის ასაკის მიღწევამდე) პირების სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ის ჩათვლით მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსება და დიაბეტით დაავადებული 0-18 წლის ასაკის ბავშვების და მოზარდების სახელმწიფო პროგრამის ზევით გლუკომეტრების შესაბამისი ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ ქ.რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) სოციალურად დაუცველი (0-დან 70 001-მდე ქულის მქონე) მოქალაქეები, შშმ პირები, , მარჩენალდაკარგული (18 წლის ასაკის მიღწევამდე) პირები სარეიტინგო ქულით 70 001-დან 150 000-ის ჩათვლით), რომელთა მედიკამენტების შესაძენად წელიწადში გათვალისწინებულია არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა, ხოლო ომის ვეტერანებისთვის ერთი მოსარგებლისთვის წელიწადში არაუმეტეს 250(ორას ორმოცდაათი) ლარის მომსახურება. ასევე, შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც ესაჭიროებათ ტესტ-ჩხირებით უზრუნველყოფა. მათზე გათვალისწინებულია წელიწადში არაუმეტეს 4 (ოთხი) კოლოფის ოდენობით. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია რუსთავში რეგისტრირებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მედიკამენტებისა და საანალიზო ტექნიკური საშუალებების დაფინანსება	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება 06 01 04		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) აუტიზმის მქონე ბავშვების (შემდგომში - ბენეფიციარი) საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შემეცნებითი, თვითმოვლის, მოტორული, სოციალური განვითარების და კომუნიკაციური უნარების განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0-F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის მქონე ბავშვები, ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის გათვალისწინებულია თვეში არაუმეტეს 15 სეანსის მიწოდება (315 ლარი), თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საათს, ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად. თვეში 15 საათის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქვევიითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა რაოდენობამ უნდა შეადგინოს სეანსების საერთო რაოდენობიდან არანაკლებ 11 სეანსი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია სეანსის ჩატარება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია სრულად ან ნაწილობრივ სეანსების რაოდენობა განაწილდეს შემდეგ თვეებზე. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	გენდერული	არა
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია აუტიზმის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება 06 01 05		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ქ. რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (შემდგომში ბენეფიციარი) შემეცნებითი, თვითმოვლის, კომუნიკაციური და ფიზიკური უნარების განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიას განეკუთვნება გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლის და დაუნის სინდრომის ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები - R62-ის შემთხვევაში 0-დან 15 წლამდე (წელიწადში არაუმეტეს 2000 ლარი), ხოლო ICD-10-ით განსაზღვრული კლასიფიკატორები G80, Q90-ის შემთხვევაში 0-დან 18 წლამდე მქონე ბავშვები (წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარი). R62 დიაგნოზის შემთხვევაში სავალდებულოა ფსიქოლოგის ან ნეიროფსიქოლოგის დასკვნა. სავალდებულოა ქალაქ რუსთავში რეგისტრაცია განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	გენდერული	არა

პროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური უზრუნველყოფა 06 02		
პროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური ა(ა)იპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“		
პროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც: 1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს 2. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს; 3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; პროგრამით გათვალისწინებულია 2050 ბენეფიციარის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გამოკვება მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება 06 02 01		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და აკმაყოფილებენ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს 2. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი), რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს; 3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; პროგრამით გათვალისწინებულია 2050 ბენეფიციარის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა 		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გამოკვება მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სარიტუალო მომსახურება 06 02 02		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>1.სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) საშობლოს დაცვისას დადუპულტა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების ანაზღაურებას 300 ლარის ოდენობით. პროგრამით გათვალისწინებულია 20 შუამდგომლობის დაკმაყოფილება. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p> <p>2.ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას 200 ლარის ოდენობით. ასევე ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა არ არემატება 70 000-ს) ოჯახის წევრთა სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურებას. მომსახურების თანხა შეადგენს 400 ლარს. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	1.ვეტერანების გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან სარიტუალო მომსახურების დაფინანსებით მომართვიანობის შესაბამისად 2.უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სარიტუალო მომსახურება	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეღვათი სასმელი წყლის გადასახადზე 06 02 03		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია, რუსთავში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის წყლის გადასახადზე შეღვათით სარგებლობის ხელშეწყობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (57 000 ქულის ჩათვლით) ოჯახები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული, განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) ოჯახებისთვის სასმელი წყლის გადასახადის დაფარვას. სულზე არაუმეტეს 3 ლარის ოდენობით. გამოთვლის წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი ოჯახების სასმელი წყლის გადასახადის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეღვათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე 06 02 04		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი იმ ოჯახების ნაწილობრივ საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რომელთა სარეიტინგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს. გამოთვლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა. 2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული ვეტერანების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რომელთაც შესაბამისი უწყების მიერ მიღებული აქვთ ვეტერანის მოწმობა (სტატუსი) და ფიქსირდებიან სსიპ "ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის" მიერ მოწოდებულ ვეტერანთა სიაში. 3. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სსსიპ ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ა(ა)იპ რუსთავის „სახელოვნებო, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდული განვითარების ცენტრის“, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“, ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“, ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“, ააიპ „რუსთავსერვის ცენტრის“, დააიპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“, ააიპ „რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი“ -ს თანამშრომლების საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობით უზრუნველყოფას, რომლებიც არიან ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებულნი. 4. ქვეპროგრამა უზრუნველყოფს I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოქალაქეების სრულად საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებას, ხოლო III ჯგუფი უზრუნველყოფილია ნაწილობრივ (50 თეთრის ნაცვლად მგზავრობისას იხდებიან 10 თეთრს). 5. ქალაქ რუსთავში მცხოვრები სტუდენტების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე ხელშეწყობა 6. ქალაქ რუსთავში მცხოვრები სკოლის მოსწავლეთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე ხელშეწყობა 7. ქალაქ რუსთავში მცხოვრები პენსიონერი მოქალაქეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე ხელშეწყობა 		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	<ol style="list-style-type: none"> 1. აღნიშნული პროგრამით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ბენეფიციარების საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილება და ხელშეწყობილია ახალი ავტობუსების პოპულარიზაცია 2. სუბსიდირებულია ვეტერანთა მუნიციპალური ტრანსპორტით მგავრობა და ხელშეწყობილია მათი უფასო გადაადგილება საქალაქო ტრანსპორტით 3. სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომლები საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილების დროს სარგებლობენ შეღავათიანი ტარიფით 4. უზრუნველყოფილია სრულად/ნაწილობრივ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე მოქალაქეების საქალაქო ტრანსპორტით მგავრობა 5. აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია ნაწილობრივ სტუდენტთა გადაადგილება საქალაქო ტრანსპორტით და ხელშეწყობილია ახალი ავტობუსების პოპულარიზაცია. 6. უზრუნველყოფილია სკოლის მოსწავლეთა საქალაქო ტრანსპორტით მგავრობის საფასურის ნაწილობრივი სუბსიდირება 7. აღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილია ნაწილობრივ სოციალი მომსახურების სააგენტოდან მოსული პენსიონერი მოქალაქეების საქალაქო ტრანსპორტით მგავრობა. 	მიღწეული შედეგი	
----------------------------	--	-----------------	--

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ინდივიდუალური დახმარების პროგრამები 06 02 05		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები ოჯახების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ): ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ ჯარისკაცთა ოჯახები; ბ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების; გ) 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების; დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების. ომუნალური დავალიანებების (ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი) დაფარვა წლიურად არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა 2. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). ბავშვისთვის მოითხოვება მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. ამ პროგრამის მიზნებისთვის რეინტეგრირებული ბავშვი გულისხმობს 1-დან 18 წლამდე ბავშვს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების კომუნალური დავალიანებების (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია) გადასახადზე შეღავათის დაწესება. პროგრამით მოსარგებლე თითოეულ ოჯახს განესაზღვრება წლიური ლიმიტირებული თანხა 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით, რომლის გახარჯვის შესაძლებლობა ექნებათ 2022 წლის განმავლობაში. 		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<ol style="list-style-type: none"> 1. უზრუნველყოფილია ომის ვეტერანთა ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა. 2. რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების უზრუნველყოფა ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით 	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	უზუცეს მოქალაქეთა დახმარება 06 02 06		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ასი და ას წელს გადაცილებული 3 (სამი) უზუცესი მოქალაქის დახმარება, თითოეულის წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხანდაზმულები უზუცუნველყოფილია ერთჯერადი მატერიალური დახმარებით.	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ" რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-ს ხელშეწყობა 06 02 07		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ააიპ" რუსთავის წმინდა აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი"-		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	მოხუცებულთა კვებისა და სან. ჰიგიენური მომსახურება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინიმალური აუცილებლობის ხელშეწყობა , საზოგადოებაში სოციალურ კულტურული ინტეგრაცია, მოხუცების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მარტოხელა და სოციალურად დაუცველი უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცებისათვის თავშესაფრის მიცემა და მოვლა-პატრონობა	მიღწეული შედეგი	

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 08		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს, რომელსაც წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს და ჰყავთ 4 და მეტი შვილი. პროგრამით დადგენილი არაუმეტეს 1 წლიანი რეგისტრაცია (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში) მოეთხოვება შშობელს (განმცხადებელს), ხოლო პროგრამის ბენეფიციარებს (მათ შვილებს) მხოლოდ აქტიური რეგისტრაციის სტატუსი. მატერიალური დახმარება გაიცემა 18 (თვრამეტი) წელს მიუღწეველი შვილების რაოდენობის გათვალისწინებით. დახმარება მოიცავს თითო ბავშვზე ყოველთვიურად 35 ლარის ოდენობით დახმარებას. გამონაკლის წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება 06 02 09		
ქვეპროგრამის/დონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი	<p>1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (3 ვეტერანი) მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირები (22 ვეტერანი) მიიღებს ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ყოველი წლის 9 მაისს. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p> <p>2. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს შიდა ქართლში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საბრძოლო ოპერაციებისას, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების ოჯახების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, რომლებიც ქალაქ რუსთავში ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). თითოეული დაღუპული მებრძოლის ოჯახისთვის 500 ლარის ოდენობით. პროგრამით გათვალისწინებულია 12 (თორმეტი) ოჯახის მატერიალური დახმარება. დახმარება გაიცემა არაუმეტეს ყოველი წლის 8 აგვისტოს. ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის (გარდა 2008 წელს და 2004 წელს მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში დაღუპული მებრძოლებისა) 200 ლარის ოდენობით, პროგრამა გათვლილია 51 ბენეფიციარზე და დახმარება გაიცემა არაუმეტეს 27 სექტემბრისა. გამონაკლის წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	1. უზრუნველყოფილია დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მატერიალური დახმარება. 2. უზრუნველყოფილია საბრძოლო ოპერაციებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება 06 02 10		
ქვეპროგრამის/დონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		

<p>ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>1. ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის მთელი წლის განმავლობაში ნაწილობრივ ან მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო ბუნებრივი აირით და ელ. ენერჯით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირები განურჩევლად მათი სოციალური სტატუსისა, ასევე 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებს და რომელთაც სტატუსი მიენიჭათ სამედიცინო ექსპერტიზის კომისიის მიერ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო და ამასთან დაბადებიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 18 წლის შემდგომ, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 480 ლარის ოდენობით ბუნებრივი აირის და ელექტრო ენერჯის გადასახადებში ხელშეწყობას. საიდანაც 240 ლარის ოდენობით იფარება ელექტრო ენერჯის გადასახადი და 240 ლარით ბუნებრივი აირის გადასახადი. გამოწვევის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p> <p>2. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ტოტალურ (ნულოვანი მხედველობის) უსინათლო უზრუნველყოფა გამცილებლის მომსახურებით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ), რომლებსაც გამცილებლის მეშვეობით ესაჭიროებათ გადაადგილება სამედიცინო დაწესებულებებში, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში. გამოწვევის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>1. უზრუნველყოფილია შშმ პირებთა კომუნალური გადასახადების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა</p> <p>2. ტოტალურად უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის მომსახურებით და ხელშეწყობილი მათი გადაადგილება სხვადასხვა სერვისების მიღების მიზნით</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>	<p>გენდერული</p>	<p>არა</p>

<p>ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>სტუდენტთა სოციალური დახმარება 06 02 11</p>		
<p>ქვეპროგრამის/დონისძიების გამახორციელებელი</p>	<p>ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურმა</p>		
<p>ქვეპროგრამის/დონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, ბ) არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; დახმარება მოიცავს თვეში ერთხელ 60 ლარის ოდენობას. გ) სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული აქვს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100-ქულიანი შეფასების სისტემიდან); დ) სტუდენტი სწავლობს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პრიორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია (100-ქულიანი შეფასების სისტემიდან). გამოწვევის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამით ხელშეწყობილია კრიტერიუმებიდან გამომდინარე რუსთაველი სტუდენტების გადაადგილება თბილისის მიმართულებით.	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალური დახმარების პროგრამა 06 02 12		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და სადღესასწაულო წახალისება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1. მრავალშვილიანი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს), 2. დღის ცენტრისა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარები, 3. შპს „მუნიციპალური მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარები“; 4. ქალაქ რუსთაველი მცხოვრები (რეგისტრირებული), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახები; 5. 2004 წლის აგვისტოს თვეში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს დაღუპული რუსთაველი მებრძოლების ოჯახები (მცხოვრები და რეგისტრირებული). 7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებულ პირები.</p> <p>გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთაველის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	აღნიშნული პროგრამით, მოსარგებლე ბენეფიციარების უზრუნველყოფა სასაჩუქრე კალათებით..	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა 06 02 13		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ხელშეწყობა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და მათი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის უზრუნველყოფა.</p> <p>ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთაველის მცხოვრები რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას და ფინანსურ დახმარებას წელიწადში არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში სულ მცირე 2 წელი გაატარეს. ქვეპროგრამა განკუთვნილია 18-24 წლის ახალგაზრდებისათვის.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია ბენეფიციარების 100%-იანი დაფინანსება მომართვიანობის ლიმიტის ფარგლებში	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა 06 02 14		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით თვითოეული ბენეფიციარის მომსახურება ფინანსდება თვეში 80 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული (განცხადების მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში) მოქალაქეების ყოველთვიური მატერიალურ დახმარებას. გამონაკლის წარმოადგენს დევნილები, რომელთაც მოეთხოვებათ ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწერილობა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ხელშეწყობილია რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა 06 02 15		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობა, რათა არ გახდეს საჭირო ბავშვების ოჯახიდან გამოყვანა და სახელმწიფო ზრუნვაში გადაცემა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, დაბადებიდან თვრამეტ წლამდე, ბავშვი/ბავშვები, ვისაც ემუქრება ოჯახიდან სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანა ან/და ვერ ხორციელდება სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია, რაც მოიცავს ბავშვის ოჯახის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას სარემონტო სამუშაოების ჩატარებით და კარ-ფანჯრის შეცვლით. ქვეპროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის ოჯახიდან განცალკევების პრევენცია და სახელმწიფო ზრუნვიდან ოჯახში რეინტეგრაციის ხელშეწყობა, რითაც გაიზრდება სახელმწიფო ზრუნვიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებულ ბავშვთა რიცხვი, ასევე შემცირდება ოჯახიდან სახელმწიფო ზრუნვაში გადასაყვანი ბავშვების რიცხვი.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;	გენდერული	არა

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამა 06 02 16		
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური		

ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ძალადობის მსხვერპლი ფიზიკური პირების გაძლიერების ღონისძიება, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლთა მიერ თავშესაფრის დატოვების შემდგომ პერიოდში, რესოციალიზაციისა და საწყისი ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა, მისი ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების მხარდაჭერა.	მიღწეული შედეგი	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	არა

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებასა და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობას.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	12 712,2	18 002,3	19 035,5	20 046,5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	9 064,2	9 254,0	10 415,0	11 554,0
01 01 01	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 058,8	2 205,0	2 690,0	3 165,0
01 01 02	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	6 560,8	6 580,0	7 238,0	7 885,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	354,6	369,0	377,0	384,0
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	90,0	100,0	110,0	120,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	3 648,0	8 748,3	8 620,5	8 492,5
01 02 01	სარეზერვო ფონდი	940,0	1 000,0	1 100,0	1 200,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0	5,0	5,0	5,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	2 478,0	5 416,0	5 081,0	4 741,0
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	115,0	117,3	119,5	126,5
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0	80,0	80,0	80,0
01 02 06	მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა	30,0	2 130,0	2 235,0	2 340,0

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა 01 02 04
ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი	ა(ა)იპ "ქ.რუსთავის მუნიციპალური არქივი"

<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან და მის ბალანსზე არსებული ორგანიზაციებიდან მიღებული მასალების აღრიცხვა და შენახვა, მუნიციპალური არქივის ფონდის შევსება დოკუმენტებით, მისი აღწერა, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, მუნიციპალური საარქივო ფონდის დოკუმენტების სახეობებისა და ნაირსახეობის შემადგენლობის განსაზღვრა, არქივში დოკუმენტების შემოსვლისა და გასაავლის აღრიცხვა, კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, დოკუმენტების მიღება, აღრიცხვა და საქმეთა ფორმირება ნომენკლატურის შესაბამისად, მასალების ფიზიკურ მდგომარეობაზე კონტროლი და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა, შენობა - ნაგებობებისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვა.</p> <p>მუნიციპალური არქივის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია სულ 8 ერთეულით მათ შორის: შტატით 7 ერთეული, რომელთა ძირითადი საქმიანობაა საარქივო ფონდის მუდმივი განახლება - შევსება და მიღებული დოკუმენტაციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, აღწერა, აღრიცხვა, დაცვა-შენახვა და გამოყენება, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით(შტატგარეშე) 1 ერთეული, რომლის ძირითადი საქმიანობას შეადგენს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია საარქივო ფონდის მუდმივი განახლება, სრულყოფა და საარქივო ფონდის მოცულობის გაზრდის საფუძველზე, ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება და კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტების დაცვა - შენახვა</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	

<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა 01 02 05</p>		
<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი</p>	<p>არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო"</p>		
<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიზანია მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას ინვესტიციების წახალისების, არსებული მცირე და საშუალო საწარმოების და დამწეები მეწარმეების მხარდაჭერის გზით</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ქვემო ქართლის რეგიონში საინვესტიციო და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	

<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>მონაწილეობითი ბიუჯეტების ხელშეწყობა 01 02 06</p>		
<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების გამახორციელებელი</p>	<p>ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია</p>		
<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2022 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სხვა პროექტების შეფასება, 2022 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის შეფასება და 2023 წლის დასაგეგმი ბიუჯეტის პრიორიტეტები. გამოკითხვის შესაბამისად მოხდება მიმდინარე და მომავალი წლების ბიუჯეტების დაგეგმარება აღსრულება.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ქალაქ რუსთავის ბიუჯეტი რომელშიც მაქსიმალურად იქნება ასახული მოსახლეობის ყველა ინტერესი, ასაკობრივი ყველა ინტერესთა ჯგუფის მიხედვით.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	